

## ხორბლის წარმოება საქართველოში და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება

გოგოლა მარგველაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია,  
თბილისი, საქართველო.

[gogolamargvelashvili@yahoo.com](mailto:gogolamargvelashvili@yahoo.com)

XXI საუკუნეს კაცობრიობა სასურსათო პრობლემის სერიოზული გამწვავებით შეხვდა. შიმშილის პრობლემამ გლობალური ხასიათი მიიღო. პლანეტის მოსახლეობა ყოველ წელიწადს თითქმის 100 მილიონი ადამიანით იზრდება, რაც ადეკვატურ ზეგავლენას ახდენს სურსათზე მოთხოვნილების ზრდაზე.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელი დონე, მიუხედავად ბოლო წლებში აგრარულ სექტორში განხორციელებული მნიშვნელოვანი დადებითი ძვრებისა, სასურსათო უსაფრთხოების სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს და კვლავ უცხო ქვეყნებზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მთავარი გამოწვევებია იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება, დაბალი ადგილობრივი წარმოება, ჯანსაღ და მრავალფეროვან საკვებზე მოსახლეობის (განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ფენისა და საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ოჯახების) ფიზიკური და მატერიალური ხელმისაწვდომობის პრობლემები. ადგილობრივი წარმოება კონკურენციას ვერ უწევს იაფ და სუბსიდირებულ იმპორტულ პროდუქციას, რაც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას კიდევ უფრო აუარესებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის (1974 წ.) შესაბამისად ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება რისკის ქვეშ ითვლება თუ მოხმარებული პროდუქტის 20%-ზე მეტი იმპორტირებულია. საქართველოში ეს მაჩვენებელი 70-80 %-ს შეადგენს.

ჩვენს ქვეყანაში დიდი სხვაობაა პროდუქტის ფასებსა და ოჯახების შემოსავლებს შორის, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს არ მიუწვდება ხელი ხარისხიან სურსათზე. ჩატარებული კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 50% საკვებზე თავიანთი შემოსავლების 54%-ს ხარჯავს. მოსახლეობის ეს დიდი ნაწილი, ხელმისაწვდომობის პრობლემის გამო, მხოლოდ პურით ცდილობს შეივსოს დღიური რაციონი. პურპროდუქტების ნაწარმი შეადგენს ენერგეტიკული ღირებულების საკვების 62%-ს მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს ციფრი 15%-ს არ აღემატება.

ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების პირველი განსაკუთრებული და შეუცვლელი ფაქტორი ხორბლის წარმოების მაჩვენებელია.

**მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 27 სახეობიდან საქართველოში 14 სახეობა გვხვდება, აქედან, 5 ენდემურია.** მართალია, ხორბლის ენდემურ სახეობებს დღეისათვის არ აქვს საწარმოო მნიშვნელობა, მაგრამ ისეთი ძვირფასი ბიოლოგიური თვისებები გააჩნიათ, რომელთა გამოყენება აუცილებელია ინტენსიური, მაღალმოსავლიანი ჯიშების მისაღებად. ესენია: იმუნიტეტი, ტოლერანტობა და მაღალი პურისცხობითი თვისებები.

ხორბლის მსოფლიო ინტელექტის ისტორია ჩვენი ქვეყნიდან იწყება. ამ მხრივ აღსანიშნავია ხორბლის ენდემური ჯიშები – მახა, ზანდური, ჩელტა ზანდური, ქართული ასლი და დიკა. ამით დადასტურებულია, რომ საქართველო ხორბლის კულტურის წარმოშობის პირველადი კერაა.

ხორბლის უნიკალური ეროვნული ჯიშები, ეს ცოცხალი მემკვიდრეობა, რომელიც გადმოგვცა წინაპრებისგან ითვლება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების

გარანტიად. ხორბლის ასეთი განძი არც ერთ სხვა ხალხს არ გააჩნია. ეს ჩვენი ფასეულობაა, ჩვენი ღირსებაა, თავს ვიწონებთ ამით და ამ დროს პურის მოყვარული და მისი მოხმარებითაც გამორჩეული ხალხი მოხმარებულის მხოლოდ 10-12 %-ს ვაწარმოებთ. ამ თვალსაზრისით საქართველოში მძიმე მდგომარეობაა.

არსებული სტატისტიკური მონაცემებით, ყოველწლიურად, მოსახლეობის გამოსაკვებად 180-230 მილიონი დოლარის ხორბლის მარცვლისა და ფქვილის იმპორტს ვაწარმოებთ. ასეთ პირობებში, ძნელი იქნება მოსალოდნელი საგანგებო და კრიზისული სიტუაციების შემთხვევაში ჩვენმა ქვეყანამ მოახერხოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სამწუხაროდ, ასეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში ხორბლის კულტურას არ ექცევა სათანადო ყურადღება - ნათესი ფართობი შემცირებულია 50-60 ათას ჰექტრამდე.

ხორბალზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. ქვეყანას აქვს იმის რესურსი რომ დაიკმაყოფილოს მარცვალზე მოთხოვნილება ადგილობრივი წარმოებით და ამ დროს ყოველწლიურად - 900 ათას ტონას, უმეტეს შემთხვევაში უხარისხო, საფურაჟე მარცვალს თუ ფქვილს ვყიდულობთ და იმით ვკვებავთ ჩვენს მოსახლეობას.

**სასურსათო უსაფრთხოების მეორე განსაკუთრებული და შეუცვლელი ფაქტორი ნიადაგია.**

ნიადაგის რესურსს ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ზემოქმედებს რა ადამიანი მიწაზე, როგორც შრომის საგანზე, იყენებს მის ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ თვისებებს. მიწათმოქმედებაში შრომის საბოლოო შედეგი – მოსავალი, დამოკიდებულია ნიადაგის ნაყოფიერებაზე. ნიადაგი სიცოცხლის, ხალხთა კეთილდღეობის საფუძველია. თანამედროვე კაცობრიობა 93 % - კვების პროდუქტს იღებს ნიადაგის ნაყოფიერების გამოყენების შედეგად.

არსებითი ფაქტორი რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დედამიწის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას, არის სახნავი მიწის ფართობების სისტემატური შემცირების ტენდენცია. თანამედროვე პერიოდში მსოფლიოში სახნავად ვარგისი 3 მილიარდ 278 მილიონი ჰექტრიდან, იხუნება 1.5 მილიარდი ჰექტარი; დარჩენილი მოუხნავი მიწები უპირატესად წარმოდგენილია დაბალნაყოფიერი ნიადაგებით და დიდ დანახარჯებს საჭიროებენ მათ ათვისებაზე. ნაყოფიერი, ათვისებული ნიადაგების დაკარგვა გრძელდება თანამედროვე პერიოდშიც. ყოველწლიურად, სასოფლო-სამეურნეო სარგებლობიდან ეთიშება დაახლოებით 15 მლნ ჰა პროდუქტიული ნიადაგი.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწები ძირითადად დანაწევრებულია და არ გამოირჩევა ნაყოფიერებით, რაც აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას და ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესებას. საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უმრავლესობას მცირე ფერმერები შეადგენენ, რომლებსაც ამ პირობებში ძალიან მცირე წვლილი შეაქვთ ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფაში.

ჩვენი ქვეყნის მცირემიწიანობას ისიც ემატება, რომ მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავს დეგრადირებულ ნიადაგებს, რომელიც სასოფლო სამეურნეო სავარგულების 35-40 %-ს შეადგენს. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურული ანალიზის მონაცემები მოტანილია პირველ ცხრილში.

**სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა საქართველოში 2005 წლის მდგომარეობით**

ცხრილი 1.

დასახელება	სასოფლო-სამეურნეო სავარგული	
	ჰექტარი	%
სასოფლო-სამეურნეო სავარგული	3 023 500	100
სახნავი	798 700	26,4

მრავალწლოვანი ნარგავები	264 900	8,8
სახნავი + მრავალწლოვანი ნარგავები	1 063 600	35,2
სათიბი	143 200	4,7
საძოვარი	1 796 900	59,4
სათიბი + საძოვარი	1 940 100	64,1

ქვეყანაში არსებული მიწის ფონდის მდგომარეობის ანალიზის მონაცემები მოტანილია ცხრილში. 2

**დაბალნაყოფიერი ნიადაგების გავრცელება საქართველოში**

ცხრილი 2.

ნიადაგი	ფართობი, ჰა;	% მთლიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან.
ეროზირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგული	1 000 000	33,1
ეროზირებული სახნავი	330 000	11,0
აქედან წყლისმიერი ეროზიით	221 000	7,3
ქარისმიერი ეროზიით	109 000	3,6
დაჭაობებული	220 000	7,3
დამლაშებული+ბიცობი	205 000	6,8
დამლაშებული	48 900	1,6
ბიცობი	156 000	5,1
მუავე	330 000	11,0
მათგან ძლიერ მუავე	37 000	1,2

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოში ეროზიის ზემოქმედებას განიცდის მილიონ ჰექტარზე მეტი ს/ს სავარგული.

საქართველოს ნახევრად გაუდაბნოებული ტერიტორიებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დამლაშებული და ბიცობი ნიადაგები, რომელთა ფართობი 205 ათას ჰექტარზე მეტია. საქართველოში 220 ათასი ჰექტარი დაჭაობებული ნიადაგია. ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველო კოლხეთის დაბლობის

ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. მიწის დეგრადაციის ერთ-ერთი მსოფლიოში ცნობილი სახეა გაუდაბნოება. საქართველო არ იმყოფება უდაბნოების ზონის უშუალო მახლობლობაში, მაგრამ, მოსალოდნელი გლობალური დათბობის ფონზე მის აღმოსავლეთ ნაწილში ზოგიერთ რეგიონს (კახეთი, ქვემო ქართლი) სისტემატური გვაღვიანობის შემთხვევაში შეიძლება რეალურად შეექმნას ლოკალური გაუდაბნოების საშიშროება. შემაშფოთებელი მდგომარეობაა შექმნილი ნიადაგებში მცენარისათვის აუცილებელი საკვები ელემენტების შემცველობის მხრივ. ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 80 - 90% – მდე ღარიბია საკვები ელემენტებით, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალ და უხარისხო მოსავალს განაპირობებს.

ბალანსურმა გაანგარიშებებმა გვიჩვენეს, რომ ამჟამად საქართველოში, ნიადაგიდან მოსავლით გამოტანილი საკვები ნივთიერებების 70-80% გამოიყენება ნიადაგის მარაგების ხარჯზე და არ ხდება მათი კომპენსაცია, რაც ნიადაგის გაღარიბებას და გამოფიტვას იწვევს; ყოველივე აღნიშნულის შედეგია ის რომ, ქვეყანაში ყოველწლიურად იკლებს ნათესი ფართობების რაოდენობა, რაც კარგად ჩანს მესამე ცხრილიდან.

**სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესი ფართობები ყველა კატეგორიის მეურნეობაში წლების მიხედვით.**

**ცხრილი 3.**

წელი	ნათესი ფართობი, ჰა	წელი	ნათესი ფართობი, ჰა
1985	730 100	2012	259 600
1990	701 900	2013	310 700
1995	453 100	2014	274 900
2000	610 800	2015	263 700
2002	579 000	2016	240 000
2008	329 300	2017	220 300
2010	256 700	2018	207 100

1990 წელთან შედარებით, როცა ნათესი ფართობი 701,9 ათასი ჰა იყო, 494,8 ათასი ჰექტრით არის შემცირებული ნათესი ფართობი 2018 წელს. ქვეყანა რომელიც სურსათის 80% -ის იმპორტს ეწევა სულ მცირე 300 – 350 ათასი ჰექტარი მიწა მიტოვებული, დაუშუშავებელი, დაუთესავი და გაუდაბნოების საფრთხის ქვეშ მყოფია.

სტატისტიკა გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ საქართველოში შესაძლებელია, მივიღოთ ხორბლის ის რაოდენობა, რომ არ დაგვჭირდეს მისი იმპორტი.

ზემოთ აღნიშნული 300 - 350 ათასი ჰექტრის გაკულტურება, სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება, ნიადაგდაცვითი და რესურსდამზოვი მიწათმოქმედების დანერგვა, მაღალმოსავლიანი სელექციური ჯიშების გამოყენების პირობებში სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად წარმატებით გადაწყვეტს ადგილობრივი წარმოების ხორბლით ქვეყნის დაკმაყოფილებას, რაც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მყარი გარანტიაა.

## დასკვნა.

1. საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდის ერთადერთ გზად არსებული სავარგულების ნაყოფიერების ამაღლება და რაციონალური გამოყენება ითვლება. ამიტომ, მიწაზე საკუთრების ფორმის მიუხედავად სახელმწიფომ, პირველ რიგში, არსებული მიწის ფონდის შენარჩუნებაზე უნდა იზრუნოს. უფრო მეტიც, ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების პროგრამის განხორციელება მთავრობის მიერ უნდა განიხილებოდეს როგორც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და იგი ქვეყნის უპირველესი სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს.

2. ჩვენმა ქვეყანამ მიწის დეგრადაციასთან ბრძოლა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა აღიაროს. დეგრადირებული ნიადაგების გაკეთილშობილება სპეციფიკური არაორდინალური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს და იგი დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა, ამიტომ, ფინანსური დანახარჯები პირველ ეტაპზე, მიწაზე მფლობელობის ფორმის მიუხედავად, სახელმწიფო თავისთავზე უნდა აიღოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში.

3. აუცილებელია ნიადაგების პასპორტიზაციის (ინვენტარიზაციის) ჩატარება; ნიადაგურ-აგროქიმიური გამოკვლევების საფუძველზე ნაყოფიერების დონის განსაზღვრა და მონიტორინგი უნდა გახდეს საქართველოს ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლების სახელმწიფო პროგრამის შემუშავების საფუძველი.

4. აუცილებელია, აღდგენილ იქნეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში ადრე არსებული „ნიადაგის ნაყოფიერების დაცვის სახელმწიფო სამსახური“ და აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული სამეცნიერო ცენტრი. ასეთი სტრუქტურები არსებობს მსოფლიოში სოფლის მეურნეობის როგორც მაღალგანვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებშიც. ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში დღემდე შენარჩუნებულია ორივე ეს სტრუქტურა. ერთადერთი ქვეყანა პოსტ საბჭოთა სივრცეში სადაც გაუქმდა იგი საქართველოა.

5. ნიადაგის დაცვა და მისი ნაყოფიერების ამაღლება არ არის მარტივი საქმე. იგი მაღალკვალიფიციურ აგროპერსონალს საჭიროებს. აუცილებელია ქვეყანას ყავდეს ნიადაგმცოდნეები და აგროქიმიკოსები, რომლებიც ამ საშვილიშვილო საქმეს მოემსახურებიან. აუცილებლად მიგვაჩნია აგრარულ უნივერსიტეტში აწ გაუქმებული ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის სპეციალობის აღდგენა. საქართველოში ყველა რაიონს უნდა ჰყავდეს 2-3 აგროქიმიკოსი მაინც, რომლებიც პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ყველა პირს (ფერმერი, გლეხი) ნიადაგის ნაყოფიერების ეფექტიანად მართვაში რაც მოსავლიანობის ამაღლების და მისი ხარისხის გაუმჯობესების საფუძველია.

6. მიწის ფონდის მოწესრიგების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი იქნება მომზადდეს და წარმატებით განხორციელდეს - „მარცვლეული კულტურების წარმოების სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საძირკველია.

7. აუცილებელია მომზადდეს საქართველოს მიწის კოდექსი.

## ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქართველოს სოფლის მეურნეობა“. 2004 ; 2014; 2015; 2016; 2018 წლის კრებულები.
2. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. თბილისი 2005 წელი.
3. საქართველო. „ჩვენი ფასეულობები“. სოფლის მეურნეობა. თბილისი.2012; 2013 წ.

# WHEAT PRODUCTION IN GEORGIA AND FOOD SECURITY OF THE COUNTRY

Gogola Margvelashvili

Georgian Academy of Agricultural Sciences, Tbilisi, Georgia

E-mail: [gogolamargvelashvili@yahoo.com](mailto:gogolamargvelashvili@yahoo.com)

## Summary

**The first priority and irreplaceable factor of food security in a country is the wheat yield indicator.**

Out of 27 wheat varieties known in the world 14 are found in Georgia, of which 5 are endemics – Makha, Zanduri, Chelta Zanduri, Georgan Asli, and Dika. It is evidence that Georgia is the primary center of wheat crop origin.

**The second priority and irreplaceable factor of food security is soil.** The shortage of arable land in the country is further added by a great share in it of degraded soils, accounting for 35-40% of the cropland. Statistics allow assuming that Georgia has the potential to produce the sufficient wheat volume and do without its imports.

As compared with 1990, when land under crop made 701.9 thousand ha, in 2018, the land under crop reduced by 494.8 thousand ha. In the country, which food imports amount to 80%, 300-350 thousand ha of land at least are abandoned, uncultivated, and under the threat of desertification.

Amelioration of the above-mentioned 300-350 thousand ha, conduct of the appropriate farming practices, introduction of soil-protection and resource-saving farming under conditions of the use of highly productive breeding varieties will, together with other goods, successfully handle the problem of the country satisfaction with the wheat of local production, which is a stable guarantee for food security.